



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
2021 წლის 5 მარტის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.11
სხდომის დაწყების დრო: 18:00

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე. დისტანციურ რეჟიმში (Webex პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე წევრები: მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოღვაძე, ციციხო ცხვედიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნინო გიორბელიძის განცხადებას გაწევრიანების შეახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყო საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო გიორბელიძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

(ბ) ნატო პაპიაშვილის, თამუნა ქათამაძის, მარიამ ბარიშვილის, გიორგი ჯიქიას და იოსებ ლაფანაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნატო პაპიაშვილის, თამუნა ქათამაძის, მარიამ ბარიშვილის, გიორგი ჯიქიას და იოსებ ლაფანაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ გიორგი მესროფაშვილის, ლია ცინცაბაძის, ზურაბ შარიაშვილის, ნინო გიორგაძის, ნანა კაპანაძის, ჯანო წამალაიძის, მაია გოგლიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს გიორგი მესროფაშვილის, ლია ცინცაბაძის, ზურაბ შარიაშვილის, ნინო გიორგაძის, ნანა კაპანაძის, ჯანო წამალაიძის, მაია გოგლიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ლიანა მაჭარაშვილის და საწევრო დავალიანების მქონე - ბექა ხონელიძის, კოკი კობახიძის, მუხრან ფუტყარაძის, ღვთისაგარ ბალახაშვილის, ვალერიან დოლიძის, ელზა ჩიქოვანის, ირმა გარაყანიძის და გიორგი ჩუბინიძის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავდროულად კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს ლიანა მაჭარაშვილის განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ განცხადება. ამასთან, 2021 წლის საწევრო

დავალიანების მქონე პირებს - ბექა ხონელიძეს, კოკი კობახიძეს, მუხრან ფუტკარაძეს, ღვთისაგარ ბალახაშვილს, ვალერიან დოლიძეს, ელზა ჩიქოვანს, ირმა გარაყანიძეს და გიორგი ჩუბინიძეს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. იაკობ ზეიკიძის და მარეხი დუნდუას განცხადებების განხილვა.

(ა) წევრები გაეცნენ იაკობ ზეიკიძის განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ მას ყავს სამი არასრულწლოვანი შვილი (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტები) და ეკუთვნოდა შესაბამისი საშეღავათო საწევრო, თუმცა 2019 წელს მის მიერ გადახდილი იყო 2019 და 2020 წლების საწევრო 200-200 ლარი და ითხოვდა აღნიშნული შეღავათის გათვალისწინებით, მომდევნო წლებზე საწევრო გადასახადის გადანაწილებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ როგორც მრავალშვილიანი წევრი, განმცხადებელი სარგებლობს აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი 50%-იანი საშეღავათო საწევროთი. შესაბამისად მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ იაკობ ზეიკიძის განცხადება ექვემდებარება ნაწილობრივ დაკმაყოფილებას და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე 2019 წელს მის მიერ გადახდილი 400 ლარის გათვალისწინებით, მას 2021 წლის საწევრო გადახდილად უნდა ჩაეთვალოს.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი გახდა იაკობ ზეიკიძის მიერ წარმოდგენილი დაბადების მოწმობები, რომლის თანახმადაც 2022 წლიდან აღნიშნული შეღავათის გავრცელება ვეღარ მოხდება, რადგან ერთ-ერთი შვილი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს იაკობ ზეიკიძის განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე გადახდილად ჩაეთვალოს 2021 წლის საწევრო;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;

- შესაბამისი ცვლილების ასახვა დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

(ბ) წევრები ასევე გაეცნენ მარეხი დუნდუას განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ იგი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს რეგიონში (თანდართული იყო რეგიონში გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოწმობა) და ეკუთვნოდა შესაბამისი საშელავათო საწევრო, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ ქონდა წარმოდგენილი ადვოკატთა ასოციაციაში. 2019 წლის თებერვალში და დეკემბერში მის მიერ გადახდილი იყო საწევრო 100-100 ლარი.

აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 1-ლი თებერვლის ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, მარეხი დუნდუას, 2020 წლის საწევრო დავალიანების გამო შეუწყდა ასოციაციის წევრობა.

მარეხი დუნდუამ აღმასრულებელ საბჭოს მომართა თხოვნით, რომ მასზე გავრცელებულიყო 50%-იანი საწევრო შეღავათი და მის მიერ 2019 წლის თებერვალში და დეკემბერში გადახდილი საწევრო 100-100 ლარი, ჩათვლილიყო 2019-2020 წლების საწევროდ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ როგორც რეგიონში საადვოკატო საქმიანობის განმახორციელებელი წევრი, განმცხადებელი სარგებლობს 50%-იანი საშელავათო საწევროთი. შესაბამისად მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ მარეხი დუნდუას განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, ასევე 2019 წლის თებერვალში და დეკემბერში მის მიერ გადახდილი 100-100 ლარის გათვალისწინებით, მას 2019-2020 წლების საწევრო გადახდილად უნდა ჩაეთვალოს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს მარეხი დუნდუას განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე გადახდილად ჩაეთვალოს 2019-2020 წლების საწევრო;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;
- შესაბამისი ცვლილების ასახვა დაევალოს ასოციაციის ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 5. საწევრო დავალიანების გადავადების/გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა.

(ა) წევრები გაეცნენ ადვოკატების გიგა კოლუას და რაიზულ კირკიტაძის განცხადებებს, რომლითაც ისინი ითხოვდნენ 2021 წლის საწევრო დავალიანების გადავადებას.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილია, აღნიშნული საკითხი მოიხსნას დღის წესრიგიდან და განხილულ იქნას იმ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც საბჭო იმსჯელებს 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: გიგა კოლუას და რაიზულ კირკიტაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები განხილულ იქნეს აღმასრულებელი საბჭოს იმ სხდომაზე, რომლის ფარგლებშიც საბჭო იმსჯელებს 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების მიმართ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

(ბ) წევრები გაეცნენ ნაირა ჯუკაშვილის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა 2020 წლის საწევრო დავალიანების ვადის გადავადებას 15 დღემდე ვადით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნაირა ჯუკაშვილს აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 1-ლი თებერვლის ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საწევრო დავალიანების გამო, შეუწყდა უფლებამოსილება.

აღნიშნულ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ეცნობოს ნაირა ჯუკაშვილს აღმასრულებელი საბჭოს მიმდინარე გადაწყვეტილება და გენამერტოს, რომ 2021 წლის 1-ლ აპრილამდე საწევრო დავალიანების გადახდის შემთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგება უფლებამოსილება.

(გ) წევრები გაეცნენ გულნარა ჯიმშელაძის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლებას ან საწევრო დავალიანების გადავადებას 2021 წლის ივნისამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ გულნარა ჯიმშელაძეს აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 1-ლი თებერვლის ადმინისტრაციული წარმოების შედეგად შეუწყდა უფლებამოსილება, 2020 წლის საწევრო დავალიანების გამო.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გულნარა ჯიმშელაძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

1. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს გულნარა ჯიმშელაძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

2. განმცხადებელს ეცნობოს მიმდინარე გადაწყვეტილება და განემარტოს, რომ 2021 წლის 1-ლ აპრილამდე საწევრო დავალიანების გადახდის შემთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგება უფლებამოსილება.

(დ) წევრები გაეცნენ კოვი კობახიძის განცხადებას, სადაც იგი ითხოვდა 2021 წლის საწევრო გადასახადისაგან გათავისუფლებას.

კოვი კობახიძეს მიმდინარე აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე დავალიანებით შეუჩერდა უფლებამოსილება.

წევრებმა განაცხადეს, რომ სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს კოვი კობახიძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის - საწევროს გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს კოვი კობახიძის განცხადება 2021 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;

(ე) წევრები გაეცნენ ნიკოლოზ კვანტრიშვილის განცხადებას, რითიც იგი ითხოვდა საწევრო დავალიანების გადავადებას 5 მარტამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ნიკოლოზ კვანტრიშვილს 2021 წლის 1-ლი თებერვლის ადმინისტრაციული წარმოების შედეგად შეუწყდა უფლებამოსილება, საწევრო დავალიანების გამო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- განმცხადებელს ეცნობოს მიმდინარე გადაწყვეტილება და განემარტოს, რომ 2021 წლის 1-ლ აპრილამდე საწევრო დავალიანების გადახდის შემთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგება უფლებამოსილება.

საკითხი 6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2020 წლის 6 ნოემბერს ლუკა ბიბინეიშვილის მიმართ მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაცნობა.

წევრები გაეცნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბერს ლუკა ბიბინეიშვილის მიმართ მიღებულ, კანონიერ

ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ლუკა ბიბინეიშვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წლის 1, 2, 8, 9, 15 და 16 ივნისს ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგად შემოსული საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2019 წლის 23 ივლისის N 01 სხდომის ოქმის გადაწყვეტილება ლუკა ბიბინეიშვილის საჩივრის N60 ტესტის ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და დაევალა ადვოკატთა ასოციაციას ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის გამოცემა ლუკა ბიბინეიშვილისათვის N60 ტესტის ნაწილში ქულის მომატების თაობაზე. ასევე, ასოციაციას დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ლუკა ბიბინეიშვილის სასარგებლოდ ანაზღაურება.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შედეგად, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის N38/184-20 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ლუკა ბიბინეიშვილს N60 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, ლუკა ბიბინეიშვილის მიერ 2019 წლის 16 ივნისს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის N38/184-20 კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ლუკა ბიბინეიშვილს აუნაზღაურდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 (ორას ორმცდაათი) ლარის ოდენობით.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - თინათინ ცხვედიანის, მინდია ალელიშვილის, გურამ ნაკაშიძის, ცოტნე ტყეზუჩავას, თამარ კუპრიენკოს, თეა ჩილინდრიშვილის და საბა ცაგარეიშვილის განაცხადებებს თანდართული ბიოგრაფიებით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად თინათინ ცხვედიანის, მინდია ალელიშვილის, გურამ ნაკაშიძის, ცოტნე ტყეზუჩავას, თამარ კუპრიენკოს, თეა ჩილინდრიშვილის და საბა ცაგარეიშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 8. ილია ჭანტურაიას შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ილია ჭანტურაიას 2021 წლის 19 თებერვლის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით, შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ილია ჭანტურაიას განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ილია ჭანტურაიას კანდიდატურა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 9. კომიტეტის წევრების: გიგა სვანიძის, ლაშა ტყეშელაძის და ირაკლი გაბრიჭიძის განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრების: გიგა სვანიძის, ლაშა ტყეშელაძის და ირაკლი გაბრიჭიძის განცხადებებს, სადაც ისინი მიუთითებდნენ, რომ საქმეთა ჭარბი რაოდენობისა და გადატვირთულობის გამო, ვერ ახერხებდნენ ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის საქმიანობაში აქტიურ ჩართულობას, შესაბამისად ითხოვდნენ, პირადი განცხადების საფუძველზე, კომიტეტის წევრობიდან გათავისუფლებას.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრების: გიგა სვანიძის, ლაშა ტყეშელაძის და ირაკლი გაბრიჭიძის განცხადებები და გაწვეულ იქნენ კომიტეტის შემადგენლობიდან.

საკითხი 10. ასოციაციის წევრი - გიორგი კვაშილავას ინიციატივის განხილვა მიგრაციის საკითხთა კომიტეტის შექმნის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ გიორგი კვაშილავას მიერ წარმოდგენილ

ინიციატივას მიგრაციის საკითხთა კომიტეტის შექმნის შესახებ.

თავმჯდომარემ წევრებს მოახსენა, რომ საიმიგრაციო საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს სრულყოფა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის და ამ მიზნით, აღნიშნულ პროცესში ადვოკატთა ასოციაციის ჩართულობა მიზანშეწონილია. ამასთან, თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ საკითხის სპეციფიურობისა და მუშაობის ფორმატიდან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილია კომიტეტის ნაცვლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც აქტიურად იმუშავებს საიმიგრაციო საკითხებზე. წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარის მიერ შემოთავაზებულ ინიციატივას სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: შეიქმნას საიმიგრაციო სამართლის საკითხთა სამუშაო ჯგუფი. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 11. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) მარიამ სესიაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მენტორი ადვოკატის გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ ახერხებდა სათანადო კომუნიკაციას სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაფუთებელი განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ სესიაშვილის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

(ბ) თეონა ჩაჩუას და თამუნა ყოლბაიას ერთობლივ განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სურდათ მენტორი ადვოკატის შეცვლა, რადგან უკვე არჩეული

მენტორი ტერიტორიულად მათთან უფრო ახლოს იყო და გაუმარტივებოდათ მენტორ ადვოკატთან ყოველდღიური კომუნიკაცია. განცხადებაში, ასევე მითითებული იყო, რომ მათ უკვე შერჩეული ყავდათ ახალი მენტორი ადვოკატი.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თეონა ჩაჩუას და თამუნა ყოლბაიას ერთობლივი განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

(გ) ხათუნა თედორაძის განცხადებას, რომლითაც იგი ითხოვდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლას და ახალი მენტორი ადვოკატის დანიშვნას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ხათუნა თედორაძის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

(დ) ცისმარი სვინტრაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი გადიოდა სტაჟირებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში. იმის გამო, რომ მენტორი ადვოკატი გადატვირთულია, ითხოვდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლას და ახალი მენტორი ადვოკატის დანიშვნას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ცისმარი სვინტრაძის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს.

(ე) თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 2021 1-ლი თებერვლის ადმინისტრაციული წარმოების შედეგად წევრობაშეწყვეტილი ადვოკატებიდან 180-მდე ადვოკატმა დაფარა 2020 წლის საწევრო დავალიანება, შესაბამისად მათ გადახდის საფუძველზე აღუდგათ უფლებამოსილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ გაგრძელებულიყო 2021 წლის 1 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადა, რომლის თანახმადაც წევრობაშეწყვეტილ წევრებს გადახდის საფუძველზე აღუდგებოდათ უფლებამოსილება 2021 წლის 1-ლი მარტის ჩათვლით.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ რათა არ შეფერხდეს წევრობაშეწყვეტილ პირთა წევრობის აღდგენის პროცესი, გადახდის საფუძველზე წევრობის აღდგენის ვადა გაგრძელდეს 2021 წლის 1-ლი აპრილის ჩათვლით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, 2021 წლის 1ლი აპრილის ჩათვლით საწევრო დავალიანების გადახდის შემთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგეთ ასოციაციის წევრობა.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე